ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 139 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 139

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

---

ვიღებ საეკლესიო **პანკელების სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ჰრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს.

(15—13)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ვასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотности.**

---

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის [illegible] გლეხობაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი.

(3—6—3).

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

## ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.**

(5—5).

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საშვ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საშვებით 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. მ. სოზოლევსკი** — დოსტაქრობა და [illegible] პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. გეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

---

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

---

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ჟ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ამეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ, ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია.

**გ. ს.ე ლმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საშვებით ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

აბანოები ჯარის კაცთათვის ახალ ხარბინში.—იაპონელების ჯარის მოძრაობა.—პორტ-არტური.—ბარონ სუემატსუს ბაასი.—წვრილი ცნობები.

[illegible] ბას ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს შემდეგი დეპეშა გაუგზავნია გატჩინოდან ხარბინს ოლქის უფროს გენერალ ნადაროვთან:

«გავიგე, რომ ჯარს აბანოები არა აქვს და გავალებთ დააარსოთ ჩემის ხარჯით. ფულს დაუყოვნებლივ მიიღებთ».

**მარიამი.**

ამ უმაღლესის ბრძანების აღსასრულებლად, 20 მაისს დაიწყეს შეშის დაკვეთა, აბანოების აშენება და მოწყობა ახალ ხარბინში, რაც გენერალ ნადაროვმა დეპეშით მოახსენა მის უდიდებულესობას:

«სიძვირისა გამო აბანოები და სათბობი ცოტა ძვირად უჯდებათ, მაგრამ ამას არ ერიდებიან, ოღონდ კი ძალე დაამთავრონ საქმე, რომ ხარბინში ჯარს ბანაობა შეეძლოს. (ნოვოსტი).

—

გენერალ შტაკელბერგის გალაშქრებამ სამხრეთისაკენ და ვაფანგოუს ბრძოლამ სრულიად სხვა ნაირად მოაწყო ბრძოლის ველი. შტაკელბერგის დასახვედრად იაპონელებმა ერთს ადგილს შეჰკრიბეს თავისი ჯარი, რომელიც ეხლა ჩრდილოეთისკენ მოდის; ორი დივიზიაც სიუიანიდგან მოდის გაიჯოუზე და ერთი დივიზიაც—დაშიჩაოსა და ხაიჩენზე. სულ იაპონელებს უნდა ჰყავდეთ ამ ადგილს 120—125,000 მეომარი, ანუ 6 დივიზია. მათ შორის ორი დივიზია გენერალ კუროკის ლაშქარს ეკუთვნის. რაკი გენერალ კუროკის ჯარი შესცოტავებია, ეხლა ოთხის დივიზიით ლიაოანსა და მუკდენზე ველარ გაილაშქრებს, როგორც წინად ჰფიქრობდნენ; პირიქით, მოწინავე რაზმებიც უკან დაუწევია და უცდის, საით გაილაშქრებს გენერალი კუროპატკინი და რავდენ მეომარს გაგზავნის სამხრეთიდგან მიმავალ იაპონელთა ჯარის წინაღმდეგ, რომ იაპონელთა პირველსა და მეორე ლაშქარს მიეშველოს ანუ განცალკალკევებით იმოქმედოს. გენერალი კუროპატკინიც ამ ჟამად ველარ გაჰბედავს გენერალ კუროკის წინაღმდეგ გალაშქრებას, რადგანაც შესაძლოა სამხრეთიდგან მიმავალმა მტერმა უკანიდგან დაჰკრას და ალყა შემოარტყას. გენერალ კუროკი მაინც არ სცილდება ფინ-ხუანჩენს და თავისი ჯარი დაბანაკებული ჰყავს მუკდენის გზაზედ, სადაც მტრის დახვედრაც შეიძლება და გალაშქრებაც.

ვაფანგოუს ბრძოლამ კი არ გამოაშკარავა იაპონელთა ჯარის რაოდენობა და დანაწილება, არამედ საიდუმლოებს ფარდა უფრო მეტად გადააფარა. შტაკელბერგის მოწინააღმდეგე მარშალი ნოძუ-კი არ ყოფილა, არამედ გენერალი ოქუ, რომელიც პორტ-არტურთან გვეგულებოდა. გენერალ ოქუს ეხლა მარშალს უწოდებენ. ეტყობა, ეს ხარისხი ვაფანგოუს გამარჯვებისათვის მიუღია. წარმოსადგენი არ არის, რომ ვაფანგოუსთანაც სწორედ ის სამი დივიზია იბრძოდა, რომელმაც ძინ-ჯოუ აიღო და პორ-არტურისკენ საჩქაროდ გასწია. საფიქრებელია, რომ მარშალ ოქუს 5 დივიზია ჰყავს და მათგან მხოლოდ ორი დივიზია პორტ-არტურთან გენერალ ნოგის უფროსობით. თუ ეს ნამდვილია, მაშინ პორ-არტურზე იერიშის მიტანას იაპონელები ჯერ არ აპირობენ, რადგან 40,000 მეომარი ციხის ასაღებად მეტად მცირეა. გენერალ ოქუს პორტ-არტურის მცველები გაუცალკევებია და თითონ უმრავლესის ძალით ჩრდილოეთისკენ წამოსულა. თუ რომ მართალია ის ცნობა, ვითომც 2 ივნისს ლიაოდუნის ნაპირს მეექვსე დივიზია გადასულა, რომელიც შემდეგ ვაფანგოუსკენ წამოსულა, სჩანს გენერალ ოქუს 6 დივიზია ემორჩილება, სამი პორტ-არტურთან არის და სამიც ჩრდილოეთისკენ გენერალ ოქუს ადვილად შეუძლიან უკან გაბრუნდეს პორტ-არტურისკენ და გენერალ ნოგის მიეშველოს.

იაპონელები ისე მალავენ, რავდენი ჯარი ჰყავთ მანჯურიაში, სად არის და ბანაკებული და ვისგან არის შემდგარი ლაშქრების შტაბები, რომ კაცი ვერას გაიგებს და ვერას მიხვდება. აქამომდე ნამდვილად არ ვიცით, რას აკეთებს ანუ რა უნდა გააკეთოს მარშალ ნოძუმ, რომელიც მესამე ლაშქრის უფროსი უნდა იყოს. სად და რავდენი დივიზია ჰყავს მარშალ ნოძუს, ჯერ გარკვევით არა სჩანს. ნოძუ არის მთავარ-სარდალი იაპონიის შეერთებულ ლაშქრებისა თუ არა, არც ეს ვიცით. ეს კი ნამდვილია, რომ მთლად იაპონიის ჯარის შტაბის უფროსად მანჯურიასა და კორეაში გენერალი კოდომა დაინიშნა, რომელიც მთავარ-შტაბის უფროსის მარშალ ოიამას თანაშემწედ იყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მანჯურიის ვიცე-კოროლად და მთავარსარდლად მარშალი ოიამა უნდა იყოს დანიშნული, ხოლო მთავარ-შტაბის უფროსობა მხცოვან მარშალს იამაგათას ჩაჰბარდება.

ვიდრე ნამდვილად არ გამოირკვევა, რავდენი დივიზია აბარია მარშალ ნოძუს, მანამდე ძნელი მისახვედრია, რას აპირობს იაპონელების ჯარი, რა გეგმას ადგია. დაახლოვებით კი შესაძლოა ითქვას, რომ, თუ პორტ-არტურთან მხოლოდ სამი დივიზია დასტოვეს, მაშინ გენერალ კუროპატკინის წინაღმდეგ იაპონელები გამოგზავნიან 13,000 მეომარს (რ. ვ.).

—

ტოკიოდან იწერებიან, მარშალ ოიამას მაგივრად, რომელიც ამას წინად მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნა, მთავარ-შტაბის უფროსობა მარშალ იამაგათას მიანდეს. გენერალ კოდამას ნაცვლად მანჯურიის შტაბის უფროსად გენერალი ნაგაოკა გაამწესეს. მარშალი იამაგათა და გენ. ნაგაოკა მალე გაემგზავრებიან მანჯურიისკენ. (რ. ვ.).

—

გენერალ კუროკის ლაშქარი გაჩქარებით სამხრეთ-დასავლეთისკენ მიდის, სიუიანის მხარეს, და იაპონელების სხვა ლაშქრებს უნდა შეუერთდეს. ჩინელები ამბობენ, ვითომც იაპონელების ჯარს ქვანდუნის ნახევარ-კუნძულზე სურსათი შემოაკლდაო (რ. ვ.).

—

ომის ველიდან მრავალნაირი ერთი მეორის საწინააღმდეგო ამბები მოდის, მაგრამ ყველა ცნობები ერთს მოსაზრებას ამტკიცებს, რომ მალე დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს. ბრძოლის ადგილად მიაჩნიათ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის ჩრდილო-დასავლეთი.

«ჟურნალის» კორესპონდენტი ამბობს: მრავალი ნიშანი გვარწმუნებს, რომ დიდი ამბავი იქმნება ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე, გაიპინის სამხრეთადო. იაპონელების ჯარი თანდათან წინ მიდის. ამბობენ, გენერალ ოქუმ მცირე რაზმები დასტოვა პორტ-არტურთან და უმთავრესი ძალა კი ჩრდილოეთისკენ გაიყოლა, სადაც გენერალ კუროკის ლაშქარს შეუერთდაო. ამ რიგად ოკუს 80—90,000 მეომარი უნდა ჰყავდეს.

ამბობენ აგრედვე, ვითომ გაიჯოუსთან იაპონელებს სამი სამხედრო გემი გაუჩერებიათ.

ამისთანა გარემოებაში საჭიროა, მანჯურიის ლაშქარს ახალი კორპუსები მოეშველოს რუსეთიდგან, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდეს. იმედია, ესეთი დახმარება მალე გაჩნდება (ნ. ვ.).

—

მარკიზ იტოს სიძე ბარონ სუემატსუ, რომელიც ამ [illegible] სა და, სხვათა შორის, უთხრა:

არა მგონია, ევროპიელებმა იცოდნენ, რამდენი ჯარი გვყავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილი ცნობები არა აქვთ, რამდენი ჯარი გვყავს მანჯურია-კორეიაში და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე. ფინანსების შესახებ ხომ სულ არა იციანრა. გაზეთებში წივიკითხე, იაპონიის ხაზინა სამს, ოთხსა ან, სულ მეტი, ექვს თვეს გაუძლებს ომის ხარჯს, მერე დაცარიელდება და ველარ შეივსებაო. ეს ტყუილია... ჩვენ სულ უკიდურესი გვქონდა წარმოდგენილი და ისე მოვემზადეთ საომრად, რომ რამდენსამე წელს გავუძლოთ, თუ საჭიროება მოითხოვს, თუმცა არა მგონია, ასეთი გაჭირვება დაგვადგეს.

პირველი ოთხი თვე, რაც ომი დაიწყო, ჩვენს ჯარს ხელს უწყობდა. რუსეთის ჯარის დამარცხება, რომელიც პორტ-არტურის დასახმარებლად მიდიოდა, იმედს გვაძლევს, რომ ციხეს უთუოდ ავიღებთ, რაც უნდა თავგანწირულად იბრძოლონ მეციხოვნეებმა. ჯერ იერიში არც-კი დაწყებულა...

ჩვენ ომი იმიტომ დავიწყეთ, რომ რუსეთს თავისი პირობა შეესრულებინა, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ მთელს ევროპას მისცა. ამასთანავე ჩვენ გვინდა კორეიაში უპირატესობა მოვიპოვოთ, რასაც რუსები მანჯურიაში აქარწყლებდნენ თავის მოქმედებითა და ტყეების კონცესიებით, რომლებსაც უფრო სამხედრო დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე კომერციული. აი მიზეზი, ერთად-ერთი მიზეზი, ომისა...

ჩვენ ძალით დავაცლევინებთ რუსებს მანჯურიას. კორეის თვით-არსებობა და თვით-მართველობა დაცულ იქმნება, ხოლო ჩვენ გვინდა იქ მოვიპოვოთ ასპარეზი მოქმედებისა, რის უფლებასაც [illegible] ლევს მეზობლობა, ნათესაობა [illegible] ორთავე ერისა და ერთობა უმთავრ[illegible] ინტერესებისა. ეს ყოველივე [illegible]ვის საჭიროა და მხოლოდ ეს [illegible] ჩვენი სურვილი.

— რკინის [illegible]ხას რაღას უზამთ, რომელიც რუსებმა გაიყვანეს მანჯურიაში?

— ეს მცირე მნიშვნელოვანი საკითხია და მისი გადაწყვეტა ზავის დადების დროს შეიძლება. ამაზედ ეხლავე არა ითქმის-რა.

— როგორ უნდა დაიდოს ზავი? თქვენ შეეკითხებით რუსეთის მთავრობას, როცა დროს შეურჩევთ, თუ რომელიმე სახელმწიფო იკისრებს შუამავლობას?

— უნდა საერთოდ მოგახსენოთ, რომ ომში გამარჯვებული მხარე მშვიდობიანობას არა თხოულობს. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, დაველდით. რას დააპირებს ჩვენი მოპირდაპირე. მტკიცედ დავადგებით ჩვენს პირველ მოთხოვნილებას. რაც შეეხება სახელმწიფოთა შუამავლობას,—ეს მოუხერხებელია. რუსეთმა ფორმალურად გამოაცხადა, რომ შუამავალს არ მივიღებო; ჩვენ-კი ბრძოლას არ შევწყვეტთ, ვიდრე ჩვენსას არ გავიტანთ. ხოლო თუ რუსეთის მომხრე სახელმწიფო ჩვენს მომხრესთან ერთად მშვიდობიანობის დამყარებასა და სისხლის ღვრის მოსპობას ისურვებს, არა მგონია, ჩვენმა სამშობლომ არ ისმინოს მათი რჩევა.

ბოლოს ბარონ სუემატსუმ აღნიშნა, იაპონიასა სურს, რომ ჩინეთმა მტკიცედ დაიცვას ნეიტრალიტეტი, რადგან ჩინეთის ჩარევა იაპონიას ავნებსო (ნ. ვ.).

—

უცხოელები თანდათან რწმუნდებიან, რომ პორტ-არტურის აღება შეუძლებელია. ბოლ[ო]ს დროს ციხე ძალიან გაუმაგრებიათ, [გ]აზეთ «ტანს» დეპეშით ატყობინებს კორესპონდენტი:

მე გავიგე, რომ პორტარტურის გარშემო იაპონელებს ზარბაზნები გაუმწკრივებიათ ინცენჯიდგან საფინთაომდე. რუსებმა კი ციხეს სამს სარტყლად შემოარტყეს ზარბაზნები. ციხე მიუვალია. მაინც და მაინც ამ ციხის ამღებს დიდი მსხვერპლი დასჭირდება. სურსათი მეციხოვნეებს ნახევარ წელიწადსაც ეყოფათ, სრული ჯერი რომ აძლიონ. სანოვაგეს ფასი ჩვეულებრივია. მე, როგორც ფრანგ ჟურნალისტს, ნება მომცეს სამხრეთის ჯარის ბანაკი დამეთვალიერებინა.

მარწმუნებენ, ვითომ ოქუს ლაშქარი ვაფანგოუს ბრძოლის შემდეგ გაიპინისკენ წავიდა და კუროკის ერთი დივიზიაც შეიერთაო. იქ რუსებს დიდძალი ჯარი ჰყავთ, რომელსაც 100,000 იაპონელი უნდა შეებრძოლოს. იაპონელები გაჩქარებით მიდიან (ნ. ვ.).

ვლადივოსტოკის ესკადრამ ინგლისელების გემი «ალლანტოუნი» რომ დაატყვევა, ამ ამბავმა ინგლისელები ააღელვა. «დეილი მეილი» ამბობს: თუ რომ ამ გემზედ ურალის ქვა-ნახშირი იყო, ნამდვილად კონტრაბანდი იქმნებოდაო. ამ შემთხვევაში არც ინგლისსა და არც იაპონიას ნება არა აქვთ პროტესტი გამოუცხადონ, ხოლო თუ ქვა-ნახშირი ისეთ გემებისათვის მიჰქონდათ, რომელნიც სანეიტრალო ბაირაღით დადიან, მაშინ დატყვევება უკანონო იქმნება და ინგლისის მთავრობა მოვალეა ინგლისელების ინტერესები დაიცვასო (ნ. ვ.).

—

რეიტერის სააგენტო იუწყება, ვითომც იაპონელებმა ერთი განაპირებული პორტ-არტურის ფორტი აიღეს და ამ დროს 1,000 კაცი მოუკვდათო (რ. ვ.).

—

ხარბინიდგან იწერებიან, ბოლოს დროს ძალიან გავრცელდა ხმა, რომ ჩინელები მოუსვენრად არიან და გენერალ მაის ჯარიც მანჯურიის საზღვართან არისო. ამის გამო ქალაქის ადმინისტრაცია ფხიზლობს და ქალაქის სადარაჯო რაზმებს აძლიერებს, მეტადრე რკინის გზას დიდი თვალყურის დევნა სჭირდება.

ყველა ხიდთან დარაჯები გააძლიერეს და ხიდს ქვეშაც ღამე ნავები დადიან ბურჯებ შუა.

რკინის გზის თხრილებზე კიბეები იყო, რომ მგზავრები ლიანდაგს გადასულიყვნენ. ეხლა კიბეები აიღეს და მათს ადგილს დარაჯები დააყენეს.

ჯარი თანდათან მოდის. სამხედრო მატარებლები განუწყვეტლივ დადიან დღე და ღამე. ლიაოიანიდგანა და მუკდენიდგან სასანიტარო მატარებლები მოდის დაჭრილ ჯარის კაცებით.

სასანიტარო გემის «მონგოლიის» უფროსი ექიმი ტოლმაჩოვი მოვიდა არტურიდგან და ამბობს, არტურში მყოფ დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის კაცების მორჩენა შეუძლებელია, თუ რომ იქიდგან არ წამოიყვანესო. მუდამ შიშს ქვეშ ყოფნა ცუდად მოქმედებს ავადმყოფებზე და ზარბაზნების გრიალი ცუდადა ჰხდისო (პ. ვ.).

## ტ ფ ი ლ ი ს ი

—

*** მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი, უავგუსტოესი თავმჯდომარე სახელმწიფო საბჭოსი, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე და დიდი მთავარი სერგი მიხეილის-ძე ცხრა მაისს ბალტიის რკინის გზით გაემგზავრნენ მიხაილოვკას, სადაც მთელს ზაფხულს გაატარებენ.

*** ბაქოს ქალაქის მოურავმა სტატ. სოვ. ალექსანდრე ნოვიკოვმა თანამდებობას თავი გაანება.

*** [illegible] სასოფლო-სამკურნალოები, ამიტომ წინადადება მისცა კავკასიის სამოქალაქო სამკურნალო მმართველობას, წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რომელს სოფლებშია საჭირო დაარსებულ იქმნას საავადმყოფოები, ან სად იქმნეს აგებული სადგომები მკურნალთა და ფერშალთა საცხოვრებლადაო.

*** ტფილისის გუბერნატორს ქალაქის თავის მოადგილემ წარუდგინა სია იმ სახლის პატრონთა, რომლებზედაც დარჩენილია გადასახადი და სთხოვს, განკარგულება მოახდინოს ღონისძიებანი იქმნას მიღებული გადასახადის ასაკრებადაო. გადასახადი ითვლება რამდენსამე საზოგადოებასა და უწყებაზე. სულ ასაკრებია 18 ათას მანეთზე ნეტი.

*** ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, დანიშნული ორიოლისა და სევის ეპისკოპოსად, უკვე დაბინავდა ახალ სამწყოში: ხალხი, როგორც გვწერენ, მრავლად მიდის ეპისკოპოსთან და დიდის პატივით ეპყრობიან. ხალხს ძალიან სასიამოვნოდ მიაჩნია, რომ ეპისკოპოსი მუდამ იღებს ლოცვა-კურთხევისა და რჩევა დარიგების გადასაცემად მისულებს.

*** «უსინათლოთა» კვირაში კავკასიის ყველა ეკლესიებში წირვის დროს ფული იკრიბებოდა უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ. მთელს კვირას ყველა ეკლესიებში შემოსულა 653 მან. $46^{1}/_{2}$ კაპ. საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების სასარგებლოდ ფულის შეკრების საქმეში.

ამავ საზოგადოებას წარსულ თვის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 14299 მ 29 კაპ., ხარჯი 2.233 მან. 60 კაპ.

*** მიხეილის ორკლასიანი რკინის გზის სასწავლებელი წელს 37 მოსწავლემ გაათავა. 28 ვაჟია, 9 ქალი. ამათში 11 რუსია, 21—ქართველი, ერთი ბერძენი ორი პოლიაკი და ორი სომეხი.

*** ამას წინად პედაგოგებმა და მოსწავლეთა დედ-მამამ შეიმუშავეს პროექტი ტფილისის საპედაგოგიო საზოგადოებისა. პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს.

*** ფ. ი. ამირაღოვმა წინადადება სხვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ჩემს მამულში ამუშავეთ ხოლმე ზაფხულობით ტფილისის სიბაღოსნო სასწავლებლის მოსწავლენიო. მამული ექვსი დესეტინაა და მდებარეობს გორის მახლობლადაო, ამ წინადადებას ჩქარა განიხილავს სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

*** ახალციხის მაზრას, სოფელ ხერთვისში მცხოვრებთა შორის წითელა გაჩნდა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონისძიებანი იქმნა მიღებული. ავად წითელით 20 მაისიდან 10 ივნისამდე 25 ადამიანი გამხდარა.

*** მკითხველთ უწყიან, რომ ტფილო-[illegible] ძვირფასი ნივთები. ქვეი მოსამსახურეზე მიიტანეს, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა.

*** ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგედ ნამყოფმა ბ-ნმა ლისიციანმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დამიბრუნეთ ის 2.000 მანეთი, რომელიც წარმოვადგინე ლომბარდის გამგის თანამდებობის აღსრულების დაწყებამდეო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს ფული არ დაუბრუნოს ბ-ნს ლისიციანს. ვიდრე ლომბარდიდგან ნივთების მოპარვის საქმე არ იქმნება გამორკვეული.

## ჩვენებური ამბები

—

**ფოთი**, 1 ივნისი, ფოთელები დიდის სიხარულით ელიან თავიანთ ქალაქის თავს ბ-ნ ნიკოლაძეს ხმებია, რომ ვითომ ფოთის თვით მმართველობის თხოვნა მალე მთავრობას შეეწყნაროს და პალიასტომი საზამთრო ნავთსადგურად დაემტკიცებინოთ. ყველა ფოთში მოსული ორთქლმავალი თუ იალქნით მოსიარულე გემებია აქ იქნებიან და ეს ისეთ ნაყოფს მოუტანს ქალაქს, რომ ამ დიდისხნის ზარალს მცხოვრებნი ახლა აინაზღაურებენ.

ფოთში მარტო იმაზედ არის ლაპარაკი, რომ ბათუმის ნავთის შესანახი ბინები ფოთში უნდა გაკეთდესო და ესეც დიდ სარგებლობას მოუტანს ქალაქს. ქალაქის თვით მმართველობა ელექტრონის სინათლის სადგურს აფართოებს და უეჭველია სინათლეც მოემატება ქალაქს. თუ ეხლა ხილკოვის პროსპექტია განათებული, მაშინ სხვა ქუჩებსაც გაანათებენ. სარწმუნო კაცნი ამბობენ, ვითომც ცემენტის ბოძები კეთდება ელექტრონის ფარნების ჩამოსაკიდათ. ერთის სიტყვით, ფოთელები დამყარებულნი არიან იმ იმედზედ, რომ ბ-ნმა ქალაქის თავმა უნდა ჩაუდგას სული ამათ გაჭირვებას. ვნახოთ, ამ დღეებში იქნება აქ ბ-ნი ნიკოლაძე, რადგანაც გუშინ გამოსულა პეტერბურგიდამ და მაშინ უფრო დაწვრილებით ვაცნობებ მკითხველს საქმის გარემოებას.

წარსულს თვეში რომ ავაზაკებმა ფოთს მიმავალ მატარებელში ფოსტა გაცარცვეს და 100,000 მანეთამდის წაიღეს, კვალი მიუტანიათ ფოსტალიონის ჩიტავას ნათესავზედ, ისევ ჩიტავაზედ, და ამ დღეებში, ბოქაულ კალანდარაშვილის თაოსნობით, მცირედი ნაწილი 2,500 მანეთამდე უპოვიათ. აი საქმე როგორ ყოფილა: როდესაც ფოსტა გასცარცვეს, ფოსტალიონები ხოშტარია და ჩიტავა მაშინვე დაიჭირეს და ეხლაც ფოთის ციხეში სხედან; მასთან რამდენიმე სახლი გაჩხრიკა პოლიციამ, მაგრამ ვერსად ვერა აღმოაჩინეს რა, თურმე ფოსტალიონის ჩიტავას მახლობელი 500 მანეთიან ბილეთებს ახურდავებდა და ამით აელო პოლიციას ეჭვი. ხელმეორეთ გაეშინჯათ ჩიტავას სახლი, ჩიტავა თუმცა დაჭერილიაო, მაგრამ მაინც, სახლი რომ გაეშინჯათ, ჩიტავას დედა ეზოში ერთ ალაგას იჯდა [illegible] რამდენჯერმე მოიხმო პასუხისთვის და ის კი იმ ალაგს არ შორდებოდა. მაშინ ეჭვი მიიტანა ბოქაულმა. ააყენეს დედაკაცი და ნახეს რომ ეზო ნათხარია და ზედ მიფარებულია ბალახი, რომელსაც ფესვიც გაედგა და ძლივს ეტყობოდა. ამოეთხარათ და, როგორც ზემოთ ვსთქვით, ის ფული ამოეღოთ. ახლა უეჭველია მხნედ შეუდგებიან ძებნას, რომ დანარჩენი ფულიც აღმოაჩინონ.

ეს ყველა კარგია, მაგრამ ფოთისთვის სამართველოს ენერგიულად მოქმედებაზედ თუ ვამბომ რამეს, ვყელა უტყუარია. მაგრამ რომ გულ გრილობისა არა ვთქვათ, ამათი, არ იქმნება, აქაური ქუჩები, ყველამ იცით, სილით არის ამოვსებული და არამც თუ ქარში მაშინაც, როცა ყუჩი დღე არის, ეტლების სიარულით ისეთი მტვერია, რომ ხალხი ერთმანეთს. ვერა ჰხედავს. შორიდამ უცხო კაცმა შეხედოს ქალაქს ეგონება მთლად ქალაქი იწვისო და კომლშია გახვეულიო, აი ამნაირი მტვერია და ამას კი მცირედი ხარჯი უნდა მორწყვისთვის. ბოჩკეები წყლისა აქვთ, ცხენები ჰყავთ და ვერ მოუხერხებიათ იქვე რიონიდამ წყალი ამოიტანონ და ქალაქი გაასუფთაონ. ყოველ დღე მუზიკას კი უკვრენ ქალაქის განკარგულებით, ბულვარი თითქმის გატენილია ეხლა, რადგან საზაფხულო ბუფეტი რიონის პირზედ გადაუტანიათ და მუზიკასაც იქ უკრავენ. უმჯობესი იქმნება თვეში მუზიკას ორი დღე გამოაკლონ და ამ ხარჯით ქუჩები მორწყონ. მუზიკა, მართალია, სასიამოვნოა, მაგრამ ის უფრო უსიამოვნოა, რომ ხალხი მტვერს ჰყლაპავს და მთლათ სხეული ეწამლებათ.

მგზავრი.

—

**დიღომი**. (ტფილისის მაზრა). ძლივს ველირსენით თბილს დღეებს, ძლივს მოგვივიდა ზაფხული და მუშაობაც გახურდა. ეხლა თიბვაა და მალე ქერებიც გაიპრება. ვისაც კი რამ უდგას ქერია, თუ პური, კარგი პირი უჩანს, თუ ციდამ არა მოუვიდა რა. სამწუხარო ისაა, რომ ძრიელ ცოტა ნახნავია და, რაც არას დასთესავენ, რას მოიმკიან, თუმცა კი დიღმელებს ძრიელ ურჩევნიათ, რაც უნდა ძვირად დაჯდეს ხვნა-თესვა, მასზედ ხელი არ აიღონ და მამა-პაპური, ღვთისაგან ნაკურთხი საქმე, როგორიც არის ხვნა-თესვა, არ მიატოვონ. ტყუილად იძახიან, დიღომმა პურის მოსავალი არ იცისო. მაგალითი თვალ-წინ გვიდევს და, ვინც რასაც ჰხნავს და სთესავს, იმის დაგვარად კიდეც იმკიან. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, თუ სოფელში მცხოვრებელს საკმარისი პური არ მოჰყავს, რაც უნდა ხელსაყრელი საქმე იშოვოს კაცმა, მაინც ისე ანაღები ფული უბარაქოთ გაივლის. მეტადრე გლეხ-კაცს, რომელიც ყოველ მხრივ შევიწროებულია, თუ პური სასყიდელი იქვს, ის ვერა საქმეს ბოლოს ვერ მოუღებს და, თუ დაიწყო რამ, ვალებით აივსება და უპურობისა გამო პურის გზაზედ დამდგარი ვერას გახდება.

დიღომში ბაღები ძრიელ პლომადაა ვაზ-ხეხილიანი. რადგან ვაზი უწინდებურად ხელს არ აძლევს, ცოტა არ იყოს, გული აუცრუებიათ და, რაც შეიძლება ძირიანად აგდებენ, რათა თავისუფალი ადგილები ბლომად იყოს და ბოსტნეულობა მოიყვანონ. მიზეზი ვაზის დაავადებაა და ხშირად ნაჩრის შეყრა, რომელთ წამლობა ხელ-მო[კლეო]ბის გამო ვერ უხერხდებათ. ვაზის გარდა ბაღებში ბლომად უდგათ ხეხილი უფრო-კი საზაფხულო. პირველი ადგილი უჭირავს ალუბალს. ხილი უფრო ბევრი იქმნებოდა დიღომში, რომ ქარი არ იცოდეს. ქარი ბევრს ზარალს აძლევს, თითქ[მ]ის ხეზედ ხილს ანახევრებს. თუ წრევანდელი გაზაფხული ვიქონიეთ სახეში, მოგეხსენებათ, ხილისათვის ძრიელ ცუდი იყო, რადგან, რაც იყო

---

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

**მ ა რ ტ ო ო ბ ა.**

(ესკიზი)

ვუძღვნი შიო მღვიმელს.

*ძნელი არის მარტოობა სულისა...*

*ნ. ბარათაშვილი.*

თქვენ იცით რა არის მარტოობა? ისეთი მარტოობა კი არა, როდესაც გათავისწინებული ზიხარ დაბურულ ტყეში, ხავსით შემოსილ წიფლის ქვეშ და სმენამახვილი გატაცებით ყურს უგდებ ტყის საიდუმლო ბუბუნს; როდესაც—ბუნების სიდიადით გრძნობა მორეულს—გსურს შენც მთის ყვავილათ გარდაიქცე, იდგე წყაროს პირათ და მის ბავშურ ტიტინს შენ უმანკო გულის-თქმას აქარგავდე; როდესაც—ყვავილ-ბალახთა სურნელებით დამტკბარს—გწადია გვიმრა, დიყა მაინც იყო, რომ ბუჩქებ შორის მოსისინე ნიავს ეარშიყო, ეალერსო, გამოჰკითხო ქვეყნის ამბავი და დაბარო ხალხთან: «ნუ შფოთავთ, ნუ სჭამთ ერთმანერთს, აბა, მოდით და გვნახეთ, როგორ ვესიყვარულებით მთის ყვავილები ერთი მეორეს, როგორ გვიხარია მზის ამოსვლა, როგორის სიამოვნებით ვეგებებით მთვარიან ღამესა-ო»..

«როდესაც მზე ამოდის ხოლმეო—გესმის ტყეში მარტოთ მყოფს მაკრატელა გვირილას ხმა—ჩვენ—მთის მშვენებანი—სიხარულით ვენთებით, თვალთაგან სიამოვნების ცრემლებს ვაფრქვევთ, გულის სიმებს სასიყვარულოთ ვაჟღერებთ. გვსურს გავიზარდოთ, ტანი ავიყაროთ, გადავიფურჩქნოთ, რომ მზის სხივებს შევწვდეთ, გულში ჩავიკონოთ, ჩავკოცნოთ... გვიყვარს მზე, გვიყვარს უზომოთ, უანგაროთ. ქვეყნის დიდებას ვანაცვალებთ თმაოქრო მზის სხივებს!...

მაგრამ... ძალიან კი ვმორცხობთ! არ ვიცი ამ უზარ-მაზარ ხეების ბრალია, გაბორჯღლილი რომ დაგვდგომიან თავსა და ბუტბუტით ფოთლებს რო ითვლიან, თუ ჯერ გამოუცდელები უწვრთნელები ვართ!...

ღვთით მაინც არა გვიჭირს-რა!...

«მზე რო ამოდის, ჩემი დობილი წყაროც ენას ამოიდგამს ხოლმე: ათას გვარ ჰანგზე შხუის, რაკრაკებს, ყვავილებს ეარშიყება, ცეკვავს, თამაშობს. ას-წლოვანი ხეები ულვაშ-ქვეშ იცინიან და მედიდურათ, ისე, როგორც სჩვევიათ მოხუცებულებს, წარბ შეკვრით გაჰყურებენ წვრიმალს. წვრიმალა კი ცელქობს თავისთვის იმ უდარდელის ბავშვივით, რომელსაც დედის გაჯავრებისა არ ეშინია. თმა-ხუჭუჭა ბუჩქები შრიალებენ, ერთმანერთს ეჩურჩულებიან, რაღაცას ანიშნებენ. ოხ, რა ლამაზები, რა ტურფები არიან მოლიზღიზე, ხავრდოვანი ბუჩქები... ღმერთმა ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს უიმათოდ!!..

«ამას წინათ, აგერა, აი ის ახალგაზდა თელა ქარაშოტმა წააქცია და დღესაც თვალებზე ცრემლი არ შეგვშრობია. აბა, შეხედეთ რა საცოდავათ ამოვარდნია საწყალს მხრები, რა გულსაკლავათ გაფითრებულა, გეგონებათ მზეთ-უნახავი კეკლუცი კუბოში განისვენებსო. იმასაც ხედავთ, მის გარშემო მდგომ ყვავილებს თავ-პირი როგორ ჩამოსტირით, როგორ დაძმარებულან ბალახები? ისინი გლოვობენ საბრალო თელას! იგი ერთ დროს ჩვენი ტყის სიამაყე იყო. ვინ იცის რამდენი რამ უამბნია ჩვენთვის, როდესაც ქარ-ბუქისაგან გამწარებული, მოსთქვამდა ხოლმე ქვეყნის გაუტანლობას.

საწყალი თელა! მკვდარია, თვალებ დახუჭული, ვეღარასა გრძნობს, მაგრამ ჩვენ კი გვახსოვს მისი ანდერძი: შეერთდით, შეილებო, გამხნევდით, ერთი მეორეს გაუხდით ფარად და გრიგალი ვეღარას დაგაკლებთო—ოლონდაც! მაგრამ ზოგიერთმა ჩვენთაგანმა ჭკუა რომ ვერ ისწავლა!! გამდგარან, ბატონო, განზე და შეჩვენებულებივით იბღვირებიან. უკეთურებს ავიწყდებათ, რომ ერთი ყვავილიც კი არ აიცრემლებს მშვენიერ თვალებს, ერთი ბალახიც კი არ შეირხევა მათის სიკვდილის გაგონებაზე. ჩაკვდებიან, როგორც ტურები და ჩალპებიან, როგორც ფუნე და ჩვენი წყევლა-კრულვის მეტი თან არა წაჰყვებათ-რა.

«ჰო, იმას ვამბობდი, გვიყვარს მეთქი მზე და ჩვენც კი ვუყვარვართ მას. დილით საღამომდის თავს დაგვტრიალებს. ხან აქედან გვივლის, ხან იქიდან. ჩვენც ციბრუტივით ვტრიალებთ, გვერდებსა და გულ-მკედრს ვუფიცხებთ. ოჰ, როგორა გვთბილა ხოლმე მაშინ, რა ბედნიერები ვართ! ნეტა მზე არასოდეს არ ჩადიოდეს!

«მაგრამ განა მზეს კი არ უნდა დასვენება, მთელი დღე კელაპტარივით რომ ვარვარებს ცის გუმბათზე, განა იმას კი აწყენს თვალის მოხუჭვა?...

«უკაცრავათ, მზე თვით-მოყვარე და დღე მოკლე მცენარე თუ მგონია!? აკი გუშინ საღამოთი, მზის ჩასვლისას, ბიძია ვერხვმა მიამბო: «მზე არასოდეს არ ჩადის, არა ჰქრება. იქით, ქვეყნის მეორე მხარეს, ჩვენისთანა ტყე და ბალახი ბევრია და ახლა იმათ გამოსაღვიძებლათ მიდისო. ხოლო ჩვენ რო არ მოგვწყინდეს და გვამცნოს თავისი უკვდავება, მთვარეს გამოგვიგზავნის ხოლმეო». ნეტა რათ დამავიწყდა ბიძიას სიტყვები?

«უჰ! ან კი რამდენსა ვლაპარაკობ? ხომ არ მოგწყინდათ? რა ვქნა, მიყვარს სიცოცხლე და გულის მოოხება. რა ჩემი ბრალია!

«ოჰ, რა კარგია მთვარის მზერაც, ტყეს რო მიეძინება ხოლმე. ტკბილ სიზმრებში გართული ხეები ნეტარებით ფშვინავენ. ვერცხლის ფერ საბურში გახვეული ბუჩქები უმანკო ბავშვებივით ეკვრიან ერთმანერთს და ძილში იღიმებიან. ჩვენ, ყვავილ-ბალახები, ჩუმათ, მაგრამ გულ მხურვალეთ, ვლოცულობთ, რომ ძილი მშვიდობისა და ძალთა-მოკრებისა მოენიჭოს ჩვენ საყვარელ ტყეს. ყრუ ხევ-ხუვი ჯანდით იბურება, გმინავს, შფოთავს, ამცნევს მთის კალთებს: „ნუ გეშინია, მე გიდარაჯებო».

«ამბობენ: ბნელი ხევები გრძნეულებით, ალქაჯებით არის სავსეო! ტყუილია!!

«ეშმაკები კი არა.—იქაა ჩვენი ტანჯვის ფიალა ჩადგმული, იქ ჩადის ჩვენი უმანკო ცრემლები და როდესაც უსამართლობას შენიშნავს ცას, ან, როდესაც ჩვენი ტანჯვანი სამზღვარს გადასცილდებიან ხოლმე, მაშინ ხევი იგი დიდდება, ზვირთდება და წალეკას უქადის ყველა იმათ, ვინც მიზეზნი იყვენ ჩვენის ტანჯვისა. რომ იცოდეთ, რა საზარელათ ბღუის ხოლმე ამ დროს ხევი, რა შიშს ზარსა სცემს განზე გამდგარ გაამპარტავნებულ, ღმერთ-დავიწყებულ ხევსა!!

«მე კი სრულიადაც არ მეშინია ხევისა. თითო ოროლა ცვარს ცრემლისას მეც მივაწვდი ხოლმე. განა მე კი არ მტანჯავს ეს ეკალი, ლოთი დედაკაცივით რომ ალეწილა და მდორბლის, მზეს მიჩრდილებს!...

«დიაღ, არ მეშინიან ხევისა! ის რო ბღუის, მე ამ დროს იმედით შევყურებ მთვარეს და მეცინება ღრუბლების სიმხდალეზე. დედავ, დედავ, რა გულ გახეთ-

სიცივეებმა, გააფუჩა ქარმა უფრო გადააჭარბა, აპრილში მოსულმა თოვლმა ხომ სულ ბოლო მოუღო, ასე რომ წრეულ დიღომს დიდი ზარალი მოუვიდა ხილის გაფუჭებით. ხილის ანაღები ფულით დიღმელი ძრიელ ხელს ინაცვლებს ამ დროს. უპურობა, თიბვა და მკა, ვინც ურემს არ ამუშავებს, ხილის ფულით უნდა მოიშოროს. წრეულ ისე გააფუჩა ხილი სიცივემა და ქარმა, რომ ზოგი სულ ცარიელზედ დარჩა. ვისაც ორი-სამი თუმნის იმედი ჰქონდა, ის ორ მანეთსაც ძლივს აიღებს. დარჩა ვაზი და ბოსტნეულობა. ვაზისა ჯერ არა ითქმისრა. ზოგან ძრიელ ასხია, ზოგან მარტო ალაგ-ალაგ. ბოსტნეულობაც ზაფხულის ამინდზედაა დამოკიდებული და წყლის უხვობაზედ, რომელიც საჭირო დროს დიღომს საგრძნობლად მოაკლდება ხოლმე. გაზაფხულის დიდმა ავდრებმა ბევრს აღებინა ბოსტანზედ ხელი და ახლად შეუდგა შემუშავებას. ბოსტნეულობაში პირველი ადგილი წითელ ბადრიჯანს უჭირავს. ყველა ამაზედაა გადარეული. ერთის სიტყვით, წრეულ თუ დიღმელმა სრულებით მოისავლიანა თავისი ჭირნახული, მაინცა და მაინც საშუალოზედ ძრიელ ნაკლები მოსავალი იქნება, ხარჯები კი ყოველ წელიწადს მატულობს.

ცოტა ხანში დიღომმა, სხვა გარეშე ხარჯებს გარდა, ბევრი შრომა და ჯაფა გასწია ჯერ სკოლის აშენებაზედ (სამრევლო სკოლაა), მერე მღვდლისათვის ააგო სახლი, რომელიც კარგა ფული დაუჯდა და წარსულ შემოდგომაზედ დაიწყო სამართველოსათვის დიდი შენობის აგება. ეს უკანასკნელი კარგა ფული უჯდება. შავად უკვე დაასრულეს და შემოდგომისათვის მგონი მზად იყოს. თუ კი წელი მოსდგამს სოფელს, ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, მაგრამ რიგიანი თავის უყოლობისა გამო ყოველი საქმე ირევა და რიგიანად ვერა მთავრდება. ყველას უნდა სოფელში მოთავედ იყოს. ყველა ყოყოჩობს, მეტადრე „ჯეელობა“, რომელთაც იმდენი გამოცდილება არ მიუძღვით, რომ სოფლის საქმეც მის-და სასარგებლოდ წაიყვანოს. რაკი მათთვის ქალაქის სიოს დაუბერნია, ორიოდე მეტი დამახინჯებული სიტყვა უსწავლია მწვანე კიტრივით თავი მოაქვს: ჩვენა ვართ, რაცა ვართ, ერთი გაგვიშვით და აბა ნახეთ სოფლის საქმეს როგორ ჩვენს გემოზედ წავიყვანთო. ეს კი მართალია, თუ სოფელმა თავიანთი საქმე მეტიჩარა მყვირალეებს მიანდო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, როგორც თავიანთ გემოზედ წაიყვანენ და როგორც უნდათ სოფლის ნაწვავ-ნადაგზედ გულ-დამშვიდებით ყელს მოიღერებენ. მეკი მათი არა მჯერა-ჰა, რადგან სიმართლის მოყვარე კაცი, სინიდისის მქონი და სოფლის გულ-შემატკივარი ძალად თავის თავს მოთავედ არ გამოაცხადებს და მოუცდის ღირსეულად არჩევას. ამ ერთის წლის განმავლობაში აქ, რომ არა მრცხვენოდეს, მგონი ორ კვირაში ერთხელ მოთავეებს სცვლიან და ირჩევენ (აქაურად პრიგოვორი'ს კაცები) და დღესაც ვერ ამოურჩევიათ. მიზეზი «პარტიობაა» და მათი «კანდიდატებიო».

სოფელი მაინც ირყევა. ახალ თაობას არ ენდობა, უფროსის, ვაი თუ საქმე უფრო გამწვავდესო. სადაც ყრილობაზედ უნდა ორი მესამედი მცხოვრები, იქ ერთი მესამედიც არ იყრის თავსა. ყრილობაზედ მიდის ის, ვისაც თავის-თავის მეტი არა ედარდება-რა და ცდილობს, იმ ერთი ქოთნისა არ იყოს, სოფელს თავიდან-ფეხებამდის ოქროთ ეჩვენოს და სოფელს როგორმე კლანჭი გაჰკრას.

ამასთანავე საშინელი მაბეზღრობა გაჩნდა დიღომში. იმის მაგიერ, რომ სამართლიანის მოფიქრებით მოაგვარონ სოფლის საქმე, უვიცსა და გაუგებარს გააგებინონ, ერთი-ერთმანერთის ნდობა იქონიონ, ძმურად გასწიონ წვალების ჭაპანი, სცდილობენ თავიანთის გაქნილობით მეზობელს ორმო გაუთხარონ, ოჯახობით დაღუპონ და თითონ იპარპაშონ. საშინელი მებეზღრობის ქსელია გაბმული და თითქმის ყოველ დღე არბიან და ჩარბიან ქალაქში თავიანთ მეუფროსესთან. ახალ-ახალი ბრძანება მოაქვთ და ისედაც არეულ-დარეულ საქმეს უფრო სწეწვენ და გამოსაშლელი წვერი ვეღარ უპოვნიათ. რაღა თქმა უნდა ამ «შპიონებს», როგორც აქ ეძახიან, მოთავე უნდა ჰყავდეთ. როგორც ხმები ისმის, მოთავედ ერთი განათლებული კაცია და საქმიდანაც სჩან'ს, თორემ დიღმელი, ეგრე ოსტატურად ვერ გააბამდა მაბეზღრობის ქსელსა, რასაც წინდაწინვე მოფიქრება და აწონ დაწონვა ეტყობა. ვისიც ჯავრი სჭირთ, თუ ეს «კამანდა» გადაეკიდა, უთუოდ თავიანთსას გაიყვანენ და ხეირს არ დააყრიან. საქმე იმაშია, რომ ვაი თუ ამ «კამანდას» მიერ გათხრილ ორმოში ისევ მისი წევრები ჩაცვივდნენ, რადგან კოკა სულ მუდამ წყალს ვერა ზიდავს.

თუმცა აქ კარგა ხანია უფროსის ბრძანებით ქურდობის მოსასპობად რამდენიმე კაცი ამოირჩიეს, მაგრამ ქურდობა არ ისპობა ერთს მოჰპარეს ბატკანი და მერე მეორეს სათუთად ხელზე გაზრდილები. რაღა თქმა უნდა, ბატკნების მოსაპარავად შორიდან არავინ მოვიდოდა და მგონია აქვე უნდა იყვნენ დაბუდებულნი, დუქნები და ლოთობა ძლიერ ხელს უწყობს ქურდობას და ყოველ სისაძაგლეს. ვინც უცხო კაცი მოდის, ყველა კვირობს, ამდენი დუქნები ამ სოფლისათვის რა უბედურებააო. მართლაც რომ უბედურობაა ტანჯვით ანაღებს ფულებს აქვე აწყალებენ, ოჯახს კი არას ჰმატებენ. უმჯობესია სოფლისათვის და მოვაჭრეთათვისაც სრულებით აეკრძალოთ დუქანში სმა და ქეიფი და დამყარდეს ვაჭრობა მარტო გარეთ გატანით (**на выносъ**).

დიღომი მეტი ნაწილი საბატონოა განსვენებული თ. კ. მუხრან-ბატონის მამული მის მეუღლის მიერ იჯარით გაიცა. რაღა თქმა უნდა, მოიჯარადრე იმას ეცდება, მამულის პატრონსაც პასუხი გასცეს იჯარის გადახდით და თითონაც დარჩეს რამე. მხოლოთ ერთი რამ რჩება გამოურკვეველი, მოიჯარადრეს აქვს თუ არა უფლება ის ადგილები, სადაც «ნადელებია», საბალახეთ მისცეს უცხო ხალხს და ისარგებლოს, როგორც საკუთრებით? აქაურმა მოიჯარადრემ ამ გაზაფხულზედ აიღო და დიღმის ერთი ნაწილი, რომელიც ნადელებითაა სავსე და სოფლის საძოვარიც არის, მისცა საბალახოთ რამდენსამე მეკომურს თათარს, რომელთ მეოხებით სოფელი ძლიერ სწუხდებოდა. უჩივლენ უკანასკნელთ შუამავლთან დ ადმინისტრაციის ძალით თათრები განდევნეს. მოიჯარადრემ პასუხად არც აცივა არც აცხელა და ამ ადგილებიდამ დიღმელების საქონელი დაირეკა და მუხრანიანთ თავლაში ოთხ დღემდის გამოამწყვდია, პატრონებს უფასოთ აღარ აძლევდა. ცოტა გაწყდა, მთელი დიღომი არ ამხედრდა და ნაცარ ტუტი არ აადინა მოიჯარადრის საუგომს. რაღა თქმა უნდა, ამისთანა წინ დაუხედავი საქმე მოიჯარადრის მხრივ უთუოდ რამე უბედურობას გამოიწვევდა, რომ ტფილისის მაზრის უფროსის გონივრული განკარგულება არ მოშველებულიყო და დაპატიმრებული საქონელი პატრონებისათვის არ ჩაებარებინათ. უმჯობესია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, რომ აღარ გამეორდეს.

დიდად პატივცემულმა დ. ზ. სარაჯიშვილმა დიღმის ხევზედ საშვილიშვილო ხიდის კეთება განიზრახა. ხიდი ძრიელ საჭიროა, რადგან ხევმა, რომელიც სოფელს სამხრეთით ჩამოუდის, საშინელი მოდიდება იცის ხოლმე და ხიდი კი ბევრს უბედურობას აცდენს. მით უფრო საჭიროა, რომ, სადაც ხიდი კეთდება, ხევ-გაღმა, ფერდობზედ ამართულია თეთრ გიორგის ეკლესია სოფლის სასაფლაოთი, რომელიც ბევრს მლოცავს იწვევს წელიწადში ორჯერ. ამას გარდა, მთელი ხევის დაყოლება უზარ-მაზარი ფერდობია, უპირველესი საძოვარი ადგილი დიღმისა. წყალდიდობას სოფელს უხდება სამხედრო გზის ხიდზედ მოვლა. ეხლა კი დიღომს პირდაპირი გზა ექმნება და სწორეთ რომ დ. ზ. სარაჯიშვილი ლაუვაწყარი იქმნება საშვილიშვილოდ! ამიტომ დიღმელებს ვურჩევ თავიანთის ხელით დახმარებას მეტადრე დროზედ მასალის მიზიდვას. მუშაობას უკვე შეუდგენ.

გულის შემატკივარი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საინტერესოა სიტყვა პრესანსესი, წარმოთქმული მის მიერ საფრანგეთის პარლამენტში სასუნის ამბების გამო.

«პალატამ უკვე იცისო,—სთქვა თურმე საფრანგეთის ცნობილმა მოღვაწემ,—რანაირი ამოჟლიტეს ხალხი ოსმალთ სასუნში,—იქ, სადაც ასეთივე სისხლის ღვრა და ხალხის ჟლეტა იყო 1894 წელსაც. აი სწორედ იქ, სასუნის ოლქში მოჰხდა შემაძრწუნებელი ამბავი, რომელმაც მოგვაგონა ათის წლის წინანდელი ამოჟლეტა სომხებისა. დედაკაცნი და ჩჩვილნი ყრმანიც კი მოსწყვიტეს. ოსმალთა სცადეს, რომ პასუხის გება ისევ სომეხ მცხოვრებლებისათვის მოეხვიათ კისერზედ, მაგრამ ევროპამ ახლა უკეთ იცის საქმის ვითარება, ვიდრე 1894 წელს იცოდა. ევროპამ თვისის დაუდევრობით ნება მისცა ხონთქარს კვლავ გაემწესებინა იმ ქვეყანაში ის კაცნი, რომელნიც 1894 წლის ბოროტ-მოქმედებაში იყვნენ გარეულნი. ისეთნი კაცნი გაამწესა, რომელთა მარტოოდენ დასახლება კმარა მიჰხვდეს კაცი, რასაც იკადრებდნენ ისინი სასუნის ოლქში. სასუნის მკვიდრთ, რომელთაც ხელიდან ჰგლეჯენ უკანასკნელ ლუკმა-პურს, აისხეს იარაღი თავიანთ თავის დასაცველად. ოსმალეთის ჯარმა და ქურთებმა აიღეს 20 აპრილს გელიგუზანი. მთელის 8 დღის განმავლობაში სდევნიდნენ და ჰჟლეტდნენ სომხებს. მუშის მინდორი ხოცვა-ჟლეტისა და დიდის სისხლის ღვრის ასპარეზად გარდაიქცა. ნუ თუ ევროპა გულ-გრილად დაუწყებს ყურებას ამ ხალხის ჟლეტას? სულ ერთა და იგივე, სულ განმეორება და განახლება წინანდელის ბარბაროსობისა,—აი რა უხუთავს ადამიანს სულს აღმოსავლეთის საქმეში. ძალიან კარგად ვიცი, რომ ბ-ნი მინისტრი (დელკასე) იზიარებს ჩემს გრძნობას, მაგრამ ახალად დანიშნული კონსულები უძლურნი არიან მოიქმედონ რამე საწინააღმდეგო და იითმმას გულ-ხელ-დაკრეფით უნდა უცქირონ უდანაშაულოთა ამოწყვეტას. საფრანგეთის ფლოტი ამ ჟამად სტამბოლშია. ნუ თუ მისი დანიშნულება ის უნდა იყოს მხოლოდ, რომ დაიცვას ინტერესები ტურანისა და ლორანდოსი? მე ვთხოულობ, რომ ფლოტი ეცადოს და ძალა დაატანოს, ვისაც ჯერ არს, საფრანგეთის სახელით, პატივი სცენ ფეხ-ქვეშ გათელილს კაცთ-მოყვარეობას. ჯერ კიდევ შესაძლოა აცილებულ იქმნას საშინელი განსაცდელი, თუ მხნედ ჩავერევით საქმეში. ხვალ უკვე გვიან იქმნება».

პრესანსე მდივნად იყო საფრანგეთის საელჩოსი სტამბოლში და კარგად აქვს შესწავლილი აღმოსავლეთის საქმე. მისმა სიტყვამ მით უფრო დიდად იმოქმედა პალატაზედ, რომ დიდის სიფთხილით ლაპარაკობდა და არაფერს არ აზვიადებდა, დრამატიული კილოთი არ სცდილობდა მსმენელთა აგულჩვილება. დელკასემაც მხნედ და მკაცედ ილაპარაკა და არ მოერიდა ოსმალეთის მთავრობის წყენას.

# წერილი

## რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო,

ამ რამდენიმე თვის წინად თქვენი გაზეთის ფელეტონს—«შურდულში» მოთავსებული იყო, სხვათა შორის, პროფესორის ნ. მარრის კაბინეტის აღწერილობავ რასაც დართული ჰქონდა ჩემთვის უცნობი დამწერის მოსაზრებანი და შენიშვნებიც.

ამას წინად ბ-ნ ნ. მარრის პეტერბურგიდან გამოეწერა «საცნობებძა მითხრეს ვითომ ის შენიშვნა შენ გეკუთვნისო.» უფრო დაბეჯითებით მითხრა ესევე გუშინ წინ ერთმა ქართველმა მოღვაწემ თვით თქვენი რედაქციის კარებთან.

რადგანაც არ მინდა მივითვისო სხვისი ნაწერის ავტორობა და ჩვეულიც არა ვარ ვისიმე მხილების დროს უჩინ-მაჩინის ქუდის დახურვას, გთხოვთ გამომაცხადებინოთ და თქვენც დამიმოწმოთ, რომ ის შენიშვნა პროფესორის ნ. მარრის შესახებ ჩემი დაწერილი არ არის. *)

ილ. ჭყონია.

(* ვამოწმებთ, რომ ის შენიშვნა ბ-ნ ილია ჭყონიას მოწერილი არ არის. რედ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივნისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბს 13 ივნისის თარიღით: «საფუძველია, ვიფიქროთ, რომ დიდმა ჯარმა მტრისამ სადგურ ვანზელიდან შეუხვია მთებისკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ მიდის ჩაპანლის უღელტეხილისაკენ. 12 ივნისს ჩვენმა მზვერავებმა შენიშნეს იაპონიის ჯართა მოძრაობა ჩრდილოეთის გზით სიუიანიდან გაიჯოუსკენ და უაიდალინის უღელტეხილისაკენ. 12 ივნისს მტერი მოაწვა სელიუჩჟანიდან უმთავრეს ლიაოიანის გზას და აგრეთვე მოდულინის უღელტეხილის გზას, 18 ვერსსზე ჩრდილოეთად სელიუჩჟანიდან, უმთავრეს ლიაოიანის გზით მოდიოდა ერთი ბატალიონი, ამის აღმოსავლეთად მდინარე ცაოხეს ხეობით—ერთი პოლკი ქვეითა ჯარისა და ორი ესკადრონი დასავლეთად მთა-მთა—ბატალიონი და ორი ესკადრონი. ლიაოიანის გზით წამოსვლას მტრისას აბრკოლებდა ჯერ ორი როტა მსროლელთა, რომელიც მცირედ იწევდა ჩრდილოეთად, შემდეგ მოგვეშველნენ კიდევ ორი როტა. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე მტერმა დაიჭირა ტეიანპუ, ჩვენი მსროლელნი კი საღამოზე წავიდნენ პხაზგოუსაკენ. ჩვენი ზარალი: დაჭრილია პორუჩიკი ოგლობლევი და ხუთი მსროლელი. იმავე დღეს ერთი ბატალიონი იაპონელთა წამოვიდა ტუნგოპუძიდან მოდულინის უღელტეხილის გზით, შეავიწროა ტაჲანგოუსთან ჩვენი ორი როტა მსროლელთა, რომელნიც აუჩქარებლად მოვიდნენ ჯერ ულიუნდთან, ხოლო შემდეგ ქვედიაპუძთან. კაპიტანი ინაჩუკოვსკი, რომელიც როტას უფროსობდა, დაიჭრა. როცა ჭრილობა შეუხვია წითელი ჯვირს ექიმმა რიშკოვმა და წამოიყვანეს დაჭრილი საკაცეთი, იაპონელებმა შემოუარეს მეორე გვერდით, და სროლა აუტეხეს მესაკაცეებს; სამი მესაკაცეთაგანი დაიჭრა; ამისაგამო ინაჩუკოვსკი, ექიმი რიშკოვი და სამი დაჭრილი მსროლელი მესაკაცევე მტერს ჩაუვარდათ. ამას გარდა ჩვენ მოგვიკლეს ორი მსროლელი და დაჭრეს პარუჩიკი სერპუხოვიტინოვი და 13 მსროლელი. 13 ღამე მტრის ერთი პოლკი და ერთი პოლკიც ცხენოსანთა დარჩა ტუინპინთან. 13 ივნისს დილის 2 საათზე, მტრის ერთი ბატალიონი წამოვიდა წინ სიუიანიდან ხაიჩენისკენ. შუადღისას ამ ბატალიონს მოჰყვა ქვეითი ჯარი და არტილერია. 13 ივნისსვე, დილის 7 საათიდან მტერმა კვლავ წინ წამოწია უმთავრესი გზით ტუანპიდან პხაზგუსკენ და მოდულინის უღელტეხილის გზით, ლიაოიანის გზით. დილის 9 საათზე მივიდნენ ტიდიავაიზთან, 3 ვერსზე ტოანპუს ჩრდილოეთად. ამ მოძრაობაზე მეტი აღარა მიგვსვლია-რა. დაწვრილებითი ცნობები იაპონელთა მოძრაობის 9 ივნის აინიამინთან: $10^1/_2$ საათზე დილით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმა გამოდევნა მტერი თავიანთ პოზიციის სანგრებიდან, 1 საათსა და 40 წამს ნაშუადღევისას ჩვენი ოთხი მთის ზარბაზანი დადგა მტრის მარჯვენა ფლანგის პირდაპირ და მარჯვედ ესროდნენ იაპონელებს, რომელნიც ტყუილად ისროდნენ თოფებსა. ამავე დროს მოვიდა ჩვენი მომშველი ჯარი, რომელიც განაწილდა: 1 როტა მტრის პოზიციის მარჯვენა მხრისაკენ და ერთიც მარჯვენა ფრთის დასაცველად, რადგან იქით იაპონელთა ორი როტა გამოჩნდა. რადგანაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეთ მტერსა, სამი ოთხი ვერსის მანძილზე, დაიწყო უკან წევა და სცლიდა სანგრეებსა. ნაშუადღევის ოთხს საათზე, როდესაც ჩვენი ყაზახთა ბატარეია მიადგა მტრის უმთავრესს პოზიციას, დაუშინეს იმას 18 ზარბაზნიდან ყუმბარები და რამდენსამე წამში 8 ყაზახი მოკლეს და 2 [illegible] ამათში 5 ნიშანში ამოიღები; ამიტომ მსახურნი მოვაფარეთ მახლობელს ქვის შენობაში; ყაზახთა ბატარეის მარჯვნით ჩვენი ორი როტა მტერს მიაწვა და ამ დროს აღმოჩნდა უმთავრეს პოზიციაზე სანგრებში მტრის ჯარი სამ პოლკამდე. როცა მტრის ძალა შევიტყეთ, რაზმის უფროსმა შეაყენა წინ სვლა და უბრძანა მთის საცხენო ბატარეის, ადგილს ნუ გამოიცვლითო, რომ ტყუილაუბრალოდ ზარალი არ მოგივიდეთო. რადგანაც ჩვენმა არტილერიამ სროლა შესწყვიტა, მაშინ მტერმა საღამოს ექვს საათზე ერთი ბატალიონი გამოგზავნა წინ. ჩვენმა ორმა როტამ და ცრთმა ასეულმა შტაბ-როტმისტრი ცედერბერგის უფროსობით გააქცია ის მტრის ბატალიონი, რომელსაც დიდი ზარალი მოუვიდა. რადგანაც ჩვენს საცხენო ბატარეიის სადგურზე, გამოჩნდება თუ არა რამდენიმე, ანუ ასე გაშინჯე ერთი კაციც, მტრის არტილერია უხვად ესროდა, ამიტომ რაზმის უფროსმა ბინდამდე გააჭიანურა ბრძოლა და სიბნელის წყალობით ხელით გამოვზიდეთ ჩვენი ზარბაზნები. სიბნელის დროს კი ჩვენმა მსროლელებმა იაპონელთა გაბედული წინ წინ მოწევა შეაყენეს. ბრძოლა გათავდა საღამოს ცხრა საათსა. ჩვენი ზარალი: მსუბუქად დაიჭრნენ საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკი რომეიკო-გურკო, პოდპოლკოვნიკი იაკოვლევი, ესაული ნეროტვი, პოდესაული ნიკოლაევი, პორუჩიკი ნიკოლაევი და პოდპორუჩიკი შიდლოვსკი, პოდესაული გოთმანი გაიკენწლა; მოკლულ იქმნა 25 ჯარის კაცი, დაიჭრა 53, იმათგან მძიმედ დაიჭრა 7. მტერს შესამჩნევი ზარალი მოუვიდა.

მთავარი შტაბი იუწყება: «უცხოეთის გაზეთებსა და ტოკიოდგან მიღებულს დეპეშებში მოხსენებული იყო, რომ ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლის დროს იაპონელებმა ხელთ იგდეს დროშაო. ამ საქმის შესახებ სამხედრო მინისტრი შეეკითხა ხელმწიფის მოადგილის საბარო შტაბის უფროსს, რომელმაც აუწყა მინისტრს, რომ იაპონელებს დროშა კი არ უგდიათ ხელთ, არამედ ნიშანი, რომელიც დაწესებულია საბარო სამსახურის წესდებით იმის აღსანიშნავად, თუ რა ადგილას იმყოფება ბრძოლაში პოლკის უფროსი, ან სადა აქვს ღამის სათევი».

უქვეშევრდომილესი დეპეშა ხელმწიფის მოადგილისა 14 ივნისის თარიღით: „როგორც კონტრ-ადმირალები ვიტგეფტი და გრიგოროვიჩი იუწყებიან პორტ-არტურიდგან, პირველი 7 ივნისის თარიღით, ხოლო მეორე—10 ივნისისა,—ესკადრის ზღვაში გასვლის წინად გაცხა-

---

...ქილნი გარბიან ხოლმე შავ-ბნელი ღრუბლები, იძაფებიან, თავს იკატუნებენ. მთვარე კი მისდევს უკან გამალებული და მთის იქით ცაცხანით მიერეკება. მაგრამ, მგონი, თვით შავ-ღრუბლები ერიდებიან მთვარეს... ყოველივე მავნეს ხომ სინათლისა ეშინია!

«მირბიან, ბატონო, ჩვენის წვალების და ტანჯვის გულ-გრილათ მომზირილი და შემსუტავი ღრუბლები და შენ კი გული ნეტარებით გევსება, რომ მარტო შენ და შენისთანა უმანკოებს შეუძლიათ ბადრი მთვარის მზერა... იყურები აქეთ იქით და ხედავ, რომ ყველა შენი ტოლამხანაგი მხიარული, ნასიამოვნებია. შენც გინდა მოისვენო, თავ-დავიწყებას მიეცე, გინდა სურნელებათ, სუმბულათ, საკმეველათ იქცე, რომ მთვარეს ყნოსვა დაუტკბო, ჩაეწნა, ჩაეგრიხო მის სხივებს, თითონ შენვე განხორციელებულ სინათლეთა და ბედნიერებათ გადაიქცე!..

«სწორედ ამ დროს-ვე შემოჯდება ჩემს ახლო კოპწია ბულბული და, ის გასაქრობი, —ისე ჩარაკრაკდება ხოლმე, გეგონებათ, თავისსავე ხმას უნდა აჰყვეს ცაში და მთვარეს გულში ჩაეკონოსო, ამის დამნახველი შენც ეშხით ბნდები, სიყვარულით იწვი, გინდა გადაეხვიო შენ გვერდით მდგომ იას, ან ვარდს, ან გვირილას და იმასთან ერთად საუკუნოთ იცოცხლო, საუკუნო სიყვარულად იქცე.

— „ოხ რა კარგია სიცოცხლე, სიცოცხლე დაუსრულებელი და სასიამოვნო სიცოცხლე თავისუფალი და აზრით სავსეო“?!.. გესმის აქეთ იქიდან და აღარ გინდა ყური მოაშორო ტყეში გამეფებულ ჰარმონიას.

— ოხ! რა უკვდავებაა მთვარიან ღამეს ტყეში ყოფნა.. არა, არ მინდა ბნელი ღამეები, სიკვდილი... მეც მწყურია სიცოცხლე ბედნიერი, სიცოცხლე აღავსე სიტკბოებითა და თავასუფლებითა! ბუტბუტებ ცნობას მოსული და გიკვირს რო ასე მალე დაღამებულა.

ბუნების უხილავმა, უცნაურმა და საიდუმლო ძალამ თურმე ისე შეგბოჭა, დაგატყვევა, რომ შენდა უნებურად, შენც ამ ბუნების ნაწილაკმა,—მთელი დღე ნეტარებით დაალამე, უკვდავმა ძალამ სიცოცხლისამ ფიქრი მთის ყვავილათ გიქცია და გული—სიყვარულათ. გამხნევებული წამოიჭრები ფეხზე და ალტაცებით შესძახებ ჯანღით მოცულ მობუზღუნე ტყეს, ბუმბერაზ მთებს, ვარსკლავებით მოჭედილ ცას, ბადრ მთვარეს, ბულბულის ხმით ამღერებულ ჭალა-მინდორთ:

— შენ დაგენაცვლე, სამშობლოის ბუნებავ, რა მშვენიერება ხარო!...

განა ეს მარტოობაა??

ია ეკალაძე.

(დასასრული ხვალ).